№ 173 21 ღვინობისთვე, პარასკევი 1866—1877 21 ღვინობისთვე, პარასკევი № 173

ᲧᲝᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ: მიიღება კანტორაში. Бареше мцховреблтвтвис: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, ხომხურს და სხვ. ენებზე.
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ერთ-ერთ ფურცლებით ასოზე—1 კაპ., ასოზე მეორე ფურცლიანი სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲕᲘᲖᲘᲜ-ᲫᲘᲝᲚᲕᲘ, 18 ოქტომბერს. (ოფიციალური). ᲒᲣᲨᲘᲜ ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ მოვიდა ამბავი, რომ იმისა და ტერ-ᲚᲣᲙᲐᲡᲝᲕᲘᲡ ცხენოსანი ჯარი მისდევენ ᲛᲝᲤᲠᲘᲥᲔᲘᲡ იქით მიმავალს მუხთარ-ფაშის ჯარს. ᲚᲔᲜ. ტერ-ᲚᲣᲙᲐᲡᲝᲕᲘᲡ ქვეითა ჯარი კი ᲚᲔᲜ. ᲖᲔᲘᲛᲐᲜᲘᲡ ჯარის შესაერთებლად მიდის.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 19 ოქტომბერს. ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ გაზეთი „Times“-ის კორრესპონდენტი იწერება დაწვრილებით ამბავს ᲡᲝᲤᲘᲘᲡ გზაზე (ᲢᲔᲚᲔᲨᲗᲐᲜ) ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ თაობაზე: რუსების მხრით ამ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ 12,000 კაცი იყო. ᲝᲠᲘᲕᲔ მხარე გაცხარებულად და მარჯვედ იბრძოდნენ. ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲡ უკანასკნელი 4,000 კაცი დახოცილი და დაჭრილი ეყოლებათ, თუმცა ისინი თხრილებიდამ იბრძოდნენ, და ამას გარდა ამდენივე ტყვედ აიყვანეს რუსებმა, რომლის მხრითაც დაჭრილ-დახოცილების რიცხვი ნაკლებია.

—

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘ, 20 ოქტომბერს. „ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔᲨᲘ“ სენატის სხდომის ანგარიში პოლიტიკურ დამნაშავეების თაობაზე. სულ 193 დამნაშავე იყო, ამათ ჰყავდათ 34 ადვოკატი. ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ კითხვების შემდეგ — ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ვინაობაზე, სარწმუნოებაზე და სხვ. ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲩᲔᲠᲜᲘᲐᲕᲡᲙᲘᲛ და შემდეგ სხვებმაც განაცხადეს, რომ რადგან სასამართლოს ზალაში საკმაო დამსწრე საზოგადოება არ არის, ამიტომ ისინი თავის ნებით აღარ ივლიან სხდომებზე. ᲗᲐᲕᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ გააყვანინა ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ და სხდომა დახურა საღამოს 5 ½ საათზე.

ᲝᲡᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ იწერებიან, რომ რუსებისგან აყვანილ ტყვეებში ურევია სხვათა შორის ქურთების მთავარი ᲔᲘᲣᲑ-ᲐᲦᲐ, რომელიც სამის ქურთის ბათალიონით მუხთარ-ფაშის არმიაში მსახურებდაო.

ᲔᲡ ᲔᲘᲣᲑ-ᲐᲦᲐ შვილია მიცვალებულის ᲯᲐᲤᲐᲠ-ᲐᲦᲐᲡᲘ, რომელსაც კარგათ იცნობდნენ თფილელები. ᲘᲡ რუსის სამსახურში იყო, პარუჩიკი, და ამ ᲝᲠᲘ-სამი თვის წინათ ჩვენი ჯარიდამ თავის ქურთებით ოსმალებისაკენ გადავიდა.

—

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲣᲠᲘ გაზეთს „Daily Telegraph“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 12 ამ თვეს ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ გაგზავნილი:

„ᲛᲣᲮᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲐ თავის ჯარით გამაგრებულს პოზიციაზე, ᲔᲜᲘᲙᲘᲝᲘᲜᲘᲡ, დგას. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲐᲡ, რომელიც ᲛᲣᲮᲗᲐᲠᲘᲡ არმიასთან შესაერთებელად მოდის, შიში აქვს, რადგან ᲝᲠᲘ ᲐᲢᲠᲘᲐᲓᲘ ᲠᲣᲡᲘᲡ ჯარისა კვალში მოსდევს იმასა.“

„ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ ახლო-მახლო მყოფ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲡ ჯარის უფროსად დანიშნულია ᲤᲔᲕᲖᲘ-ᲤᲐᲨᲐ.“

—

„ᲑᲘᲠᲨᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲨᲘ“ 5 ოქტომბერს იწერებიან ᲨᲝᲗᲘᲓᲐᲛ:

„ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲘ ნაწილი ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ კორპუსისა ოსმალებმა ჩასვეს ხომალდებში და ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲐᲙᲔᲜ (ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐᲨᲘ) გაგზავნეს. ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡ ხომალდები ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ნაპირებზე აღარ მოჩანან.“

—

„ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ“ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐᲞᲝᲚᲘᲓᲐᲛ იწერებიან 11 ოქტომბერს:

„ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ჩვენს არმიას დიდ-ძალი საჭმელ-სასმელი ოსმალებისა ჩაუვარდა ხელში, ამის გამო ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ გამოვიდა, რომ მეიჯარადრეებისაგან ჩვენს არმიაში სურსათის მოზიდვა ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ საჭიროა არ არისო.“

—

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ გაზეთს „ᲞᲔᲨᲢᲘᲡ ᲚᲚᲝᲘᲓᲨᲘ“ იწერებიან, რომ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ მთავრობას მოუვიდა ᲛᲣᲮᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲘᲡᲐᲒᲐᲜ დეპეშაო, რომელშიაც ის ახალი ჯარების მოშველებას თხოულობსო. ᲐᲛᲘᲡ გამო, ამ მოკლე ხანში 20,000 კაცი უნდა ჩასვან აქ ხომალდებში და გაუგზავნონო.

—

„ᲑᲘᲠᲨᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲨᲘ“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 8 ოქტომბერს ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ მოსული:

„ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲤᲐᲨᲐᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ მოუვიდა ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ, რომ ის ოცი ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘ ჯარი, რომელიც ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ატრიადიდამ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ველზე უნდა გაეგზავნათ, დაუყოვნიბლივ ᲛᲣᲮᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲘᲡ დასახმარებლად გაგზავნონ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡაკენ.

—

„ᲠᲔᲘᲢᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ“ მოსულია 11 ოქტომბერს შემდეგი დეპეშა ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ:

„ᲒᲣᲨᲘᲜ 11-ს ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲐ თავის ჯარით ᲖᲘᲕᲘᲓᲔᲥᲐᲜᲨᲘ მოვიდა, და იმედი ჰქონდა, რომ დღეს ᲖᲘᲕᲘᲜᲗᲐᲜ შეუდრეკდებოდა ᲛᲣᲮᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲘᲡ არმიას. ᲡᲝᲚᲐᲜᲚᲣᲓᲐᲚᲨᲘ რუსის ჯარები დგანან.“

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘᲓᲐᲛ იცის მკითხველმა, რომ ᲘᲖᲛᲐᲘᲚ და მუხთარ-ფაშები არ გაჩერებულან ᲖᲘᲕᲘᲜᲗᲐᲜ და მომეტებული ნაწილი ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ მცირე ᲐᲖᲘᲘᲡ არმიისა ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡაკენ მიდის.

—

„ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘ“ გვაცნობებენ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ მიღებულ ამბავსა, რომ ᲧᲐᲠᲡᲘᲡ ჯარების სარდლობა და თვითონ ამ ციხე-ქალაქის დაცვა ᲛᲣᲡᲢᲐᲤᲐ-ᲤᲐᲨᲐᲡ აქვს მინდობილიო.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲣᲠᲘ გაზეთის „Times“-ის ᲖᲘᲛᲜᲘᲪᲔᲚᲘ კორრესპონდენტი იწერება 5 ღვინობისთვიდამ, რომ, როგორც ამბობენ, ᲝᲡᲛᲐᲜ-ᲤᲐᲨᲐᲡ ᲞᲚᲔᲕᲜᲝᲨᲘ 120,000 კაცი ჰყავსო და ამ ჯარს ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ სურსათი სრულიად არ შემოკლებიაო; ტყვია-წამალი და სხვა ყოველგვარი საომარი მასალებიც ბლომათა აქვთო.

—

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „Indépendance Belge“-ის უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია ᲕᲐᲠᲜᲘᲓᲐᲛ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის დამწერი გვაცნობებს, რომ ეს ქალაქი ᲖᲚᲕᲘᲓᲐᲛ და ᲮᲛᲔᲚᲔᲗᲘᲓᲐᲛაც ისეთ ნაირად გაამაგრეს ოსმალებმა ამ უკანასკნელ ხანში, რომ იმის აღება მტერს ძალიან გაუჭირდებაო; ახლო-მახლო მთებზე ყველგან თხრილებია (ᲚᲝᲥᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲐ) გაყვანილი ჯარის ჩასასაფრებლად, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲔᲑᲘ მოიტანეს ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛᲐᲝ და სხვ.

—

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „Голосъ“ გვაცნობებს, რომ

ამ ომის დაწყობიდამ 10 ღვინობისთვემდინ მარტო ევროპის ბრძოლის ველიდამ 45,000 დაჭრილი და ავათმყოფი აფიცერი და სალდათი გამოგზავნილიაო რუსეთის სხვა-და-სხვა ლოშპიტლებში. აძას გარდა ბუხარესტში, იასსაში და სხვა ქალაქებში ლაზარეთები საკვსეა ავათმყოფებითაო.

—

იმ ბრძოლის თაობაზე, რომელიც რუმინებს ჰქონდათ პლევნოსთან ამ 7 ოქტომბერს, როდესაც მეორე ბრიგიცის რედუტის ალება განიზრახეს, გაზეთს „ახალს დროებაში“ იწერებიან:

„ოჩჯერ მივიდა ეერიშით რუმინიის შვიდი ბატალიონი ამ გამაგრებული პოზიციის ასაღებად. პირველად რუმინები ახლოსაც ვერ მიუდგნენ, რადგან ისეთი საშინელი სროლა შეჰქონეს ოსმან-ფაშის ჯარებმა ამ რედუტიდამ, რომ რუმინები იძულებული შეიქნენ უკან დაბრუნებულიყვნენ.

„ცოტა ხანს შემდეგ მეორედ გამოსცადეს ბედი; არ დასდეედნენ იმას, რომ ოსმალოს ტყვია სეტყვასავით მოდიოდა და აწვენდა ხალხს,—მიეშურენ რედუტს და გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, პირველი თხრილი (ლოკმენტი) ამ რედუტისა დაიჭირეს. მაგრამ დიდ-ხანს არ ყოფილან იქ: ოსმალებს მალე ახალი მსროლელები მოემატა და უფრო გაცხარებული სროლა შეჰქონეს; ერთი საათის შემდეგ რუმინები კიდევ იძულებული შეიქნენ, ხელი აეღოთ თავიანთ განზრახვიდამ და საჩქაროთ მიეტოვეს ეს რედუტი.

„ამ საქმეში 5,000-მა რუმინიის ჯარმა მიიღო მონაწილეობა; ამათში 1,000 კაცი მოჰკლეს და დასჭრეს.“

—

„მოსკოვის უწყებებს“ სწერენ ყირიმიდამ:

„აქ ლაპარაკობენ, ეითომც შავს ზღვაზე არის ამ ჟამად რამდენინე ხომალდი ოსმალებისა, რომლებზედაც 10,000 ბაშიბუზუკი იმყოფებაო და ამათი განზრახვა ის არისო, რომ მარჯვე დრო ნახონ, ყირიმის რომელსამე ნაპირზე გამოვიდნენ და ააწიოკონ ეს ქვეყანაო. კორესპონდენტი უმატებს ამას, რომ ყირიმის ჯარები მზათ არიანო, რომ ამისთანა მტერს ღირსეულად დაუხვდნენო.

საქართველო

ДЕЛИУРИ

„პეტერბურღის უწყებებში“ დაბეჭდილია ზიმნიციდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ამ ქალაქზე გამოუვლია თ. ლოპუხინ-დემიდოვს, რომელსაც მინდობილი აქვს დ. თ. ქაეკასიის ნამესტნიკს წარუდგინოს წმ. ბიორგის ჯვარი პირველი ხარისხისაო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მომავალ კვირას, 23-ს, შუადღეზე, ქალაქის ბამგეობის სახლში იქნება კრება იმ პირებისა, რომელთაც განაცხადეს სურვილი, რომ თფილისში შეადგინონ საზოგადოება მეომართა გაჭირვებულ ოჯახების დასახმარებელად. ბარეშე თანამგრძნობ პირთაც შეუძლიანთ მოსვლა ამ კრებაზე.

*** ივრის-ხეობიდამ გვატყობინებენ, რომ იქითკენ საშინელი პირუტყვის ჭირი გაჩენილა და თუ მალე ექიმი არ მოგვაშველეს, ჩვენი სოფლის ხალხის საქმე ცუდათ იქნებაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ქ. ახალქალაქი, 15 ღვინობისთვეს. რადგანაც შემთხვევისა გამო შორს მხარეს ვიყავი წასული, გვიან მივიღე ცნობა და პასუხი ვერ მოგართვით უ. თუხარელოვისგან მოხსენებულს ჩილდირის უფროსის შესახებ, რომელიც არის დაბეჭდილი „დროების“ № 139-ში.

„უფ. თუხარელოვი სხვათა შორის ამბობს,—ვერ დაეერწმუნებიო, რომ ჩილდირის უმფროსს მედუქნეები ჩინოვნიკებათ ჰყავდესო. ამის გასამართლებლად უნდა მოგახსენოთ:

1) მაზრის უფროსის თარჯიმანი (პერევოდჩიკი) არის ნამდვილ სამსახურში, იღებს ხაზინიდამ თვეში ხუთ თუმანს; თათრული და რუსული ლაპარაკი არიცის. იმის მედუქნობა მტკიცდება იმით, რომ ახალქალაქს აქვს უფ. ჭანანოვთან ერთად საამხანაგო დუქანი, რომელზედაც მიკრულია ვივესკა, რაზედაც აწერია (Лавка Василія Поракіасикова). ამ ფარაქიკოვის (იგივე ჩილდირის

12

ფელტონი

აპალონ მარკოვიჩი

მოთხრობა

—

პეტერბურღიდამ მომივიდა ორი-სამი წერილი; მემრეთ არც ერთი სიტყვა! გავიდა ერთი თვე, დადგა მეორე და ველარ მოვითმინე ჩემი მეგობარეობა და ვეითხოვე სამსახურიდგან რამოდენიმე ხნით თავისუფლება; უარი მითხრეს. რაკი ნაშეტნავად მომიჭირეს ხელი, დავენებე ყველაფერს თავი და ავსწიე პეტერბურღში.

მიწყალეთ ხელმწიფ, ამიდგან იწყება ჩემი დამცირების ამბავ! პეტერბურღში მე ის მომელოდა, რაც ყველამ უკვე იცოდა. მეუღლე ჩემი ცხოვრობდა საუკეთესო ქუჩაზე ჩინებულს ოთახებში, რომლის მორთულობასაც არ ეყოფოდა ჩემი ერთი წლის ჯამაგირი. მე მივედი მასთან პირ-და-პირ კინის გზიდგან. ჩემმა დამტვერიანებულმა სერთუკმა და ტალახიანმა ჩექმებმა შეაშფოთა კარის გამღები. დედაკაცი, და არ უნდოდა შეეშვა სახლში; მაგრამ აპალონ მარკოვიჩი იმისათვის კი არ მისულა, რომ ცხვირის წინ მიეხალებინათ კარები. ხელი ვკარი დედაკაცს, და გავიარე მდიდრულათ მორთული ზალა, სასტუმრო და უეცრათ გავჩნდი მშვენიერ ძვირფას საწოლ ოთახში, სადაც საპირ-ფარეშოს სტოლთან იჯდა ლიუბა. ძალიანთ წამოხტა ის, რო დამინახა. მე ვიდექი იმის წინ და მდუმარეთ შევჩერებოდი. ხელში მეჭირა რევოლვერი, რომელიც ზალაში ამოვიღე ჯიბიდამ. მე მოვამზადე ის თავ-დაცვისთვის. არ ვიცი რამდენ ხანს დავყავით ჩვენ ასე... ის იყო ფერ-წასული, როგორც ნაცარი.

— გაგიგდეთ ეგ! დაბეიძახა იმან ციცათ და მოათითა რევოლვერს. რას ნიშნავს ეს სამწუხარო ნიშნები?...

მე მაშინვე დავდეევ ის სტოლზე. ხელი არ მემორჩილებოდა, რომ თვითონ ის [illegible].

— ლიუბა, წავილუღლუღე მე, ეს მართალია?

— რაა მართალი? მკითხა მან და მიიბრუნა პირი ჩემგან.

— სიდგან არის ყველაფერი ე? და დავანახე მთელი ოთახი.

— შენ თვითონ იცი საიდგანაც არის? რა საჭ-როა ეგ კითხვები? მომიბრუნდა და [illegible]; სახე სულ მოექ[illegible] ნ ჩხ-ლ[illegible]. — შენ ხომ ყველაფერი იცი, მეტი რ[illegible]!

ხ[illegible]-მეორეთ მასობს სასიკვდილ[illegible] არს და [illegible] კიდეც: „მეტი [illegible] კინ-დაო!“ თითქოს სიმაღლე [illegible]ტა, თითქოს აღელვებულ ზღვის ხმა[illegible]ბათ

მაზრის თარჯიმანის) დუქანში ისყიდება ღვინო, თამბაქო, პაპიროსი და სხვა საწვრიმალო; ფული.

2) უფ. ძანანოვს თავის უპრავლენიაში ჰყავდა განსვენებული ლალახანოვი; ესეც იყო ნამსახური დახლიდრად ახალქალაქს ვართანოვის დუქანში.

უფ. თუხარელოვი იწერება, რომ მაზრის უფროსი 25 ჩაფრით მაზრას ვერ მოუელისო და მეჰრ-ალისთანა ყაჩაღს ვერ დაიჭერსო.

მე მეჰრ-ალის დაჭერის თაობაზედ არა მითქვამს-რა ჩემს კორრესპონდენციებში; მე ვამბობდი, რომ მეჰრ-ალი თუ ცხენებს გაირეკამს ყარსამდისინ-მეთქი, ბატკნებსაც ხომ ვერ გაირეკამს, მაშა სადმე ჩილდირისა და ოლთულის სანჯახის თარაქამებს უნდა მივაწეროთ-მეთქი. ეს ეც ნამდვილი აღმოჩნდა ამით, რომ ავაზაკები ამ სანჯახებიდგან აღმოჩნდნენ და იმისათვისაც უმაღლესმა მთავრობამ განკარგულება მოახდინა, ჩილდირისა და ოლთულის მცხოვრებთ საქონელი გაუყიდონ და ახალქალაქის მცხოვრებნი დაკმაყოფილონ; ამის გამოც ცხვარი და ძროხა ყოველ დღეს მოუდით და ტორგით იყიდება და ფულიც ჯეროვანს ალაგს იგზავნება.

3) რომელ მაზრის უფროსებს ჰყოლიათ ავაზაკების აღმოჩენისათვის ჯარები, რომ ჩილდირის უმფროსისათვისაც მიეცათ? ჩილდირის უმფროსს ასეთი ყაჩაღობაში გამოცდილი თარაქამა ჰყავს შპიონად სახელად ძიაზიმა, რომ ამ შპიონს ვერა ავაზაკი ვერსად ვერ დაემალება და ერთის თვის წინათვე შეტყობილი ექმნება, რასაც მოახდენენ ჩილდირის და ოლთულის თარაქამები; და ეს ძიაზიმა როგორ ვერ აღმოუჩენდა მაზრის უფროსს ავაზაკებს, რომლებიც სცხოვრებენ იქვე ახლო სოფლებში?

ჯავახი

უცხო ქვეყნები

საფრანგეთ

პარლამენტალური წესი მოითხოვს, რომ სამინისტრო, რომელსაც ხალხის წარმომადგენელთა კრების მომეტებული ნაწილი არ თანაუგრძნობს, „არ ენდობა“, ვალდებულია გადადგეს თავის თანამდებობიდამ და ისეთს სამინისტროს დაუთმოს ალაგი, რომელზედაც ამ კრებას რმწნება აქვს.

ამ კანონის ძალით ყველანი მოელოდნენ, რომ ახლა, როდესაც მომავალ ნაციონალურ კრებაში უმრავლესობა ისევ რესპუბლიკელებს ეკუთვნის, ბროჰლი-ფურტუს სამინისტრო გადადგება და მარშალი მაკ-მაჰონი რესპუბლიკელი დეპუტატებისაგან ამოირჩევს სამინისტროსაო.

პარიჟის გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ ისევ ახლანდელი სამინისტრო დარჩებაო, რადგან მაკ-მაჰონმა პირ-და-პირ გამოაცხადაო, რომ რესპუბლიკელებთან საქმის დაჭერა და იმათთან ერთად სახელმწიფოს გამგეობა იმას არ შეუძლიანო.

მაგრამ გაზეთი „Le Temps“ გვაცნობებს, რომ ნამდვილად შევიტყეთო, რომ ბროჰლი-ფურტუს სამინისტრო მხოლოთ 5 ნოემბრამდინ დარჩებაო, ე. ი. სანამ ქალაქების (მუნიციპალური) რჩევების წევრთა კენჭის-ყრა ა[illegible] [illegible] [illegible] ჰსურს იქონიოს თავის ჩვეულებრივი ზედ-მოქმედება ამ კენჭის-ყრაზე, რადგან ქალაქების რჩევები თავის მხრით სენატორებს არჩევენო.

სერბია

ერთი ფრანცუზული გაზეთი გვაცნობებს, რომ რუსის ელჩს, ბელგრადში, მინდობილი აქვს თავის მმართებლობისაგან თვალ-ყური ადევნოსო, რომ სერბიამ ის ფულები (ერთი მილიონი თვეში), რომელსაც რუსები აძლევენ, მხოლოთ სამხედრო საჭიროებისათვის მოიხმაროსო.

ამავე გაზეთის სიტყვით, ბელგრადის პრეფექტს აღუკრძალავს ილთმინაცია, რომელიც მუხთარ-ფაშის დამარცხების გამო, ქალაქს უნდა გაემართა.

წერილი რადაქტორთან

ნეტა ამ ჩვენი სიღნაღელებისთანა ტრაბახი და ენა-ჭარტალა ხალხი თუ კიდე იყოს სადმე ამ ჩვენი დედამიწის ზურგზე! როდესაც თქვენ პატივცემულ გაზეთში დაიბეჭდება ხოლმე სიღნაღიდამ გამოგზავნილი ვისიმე უსახელო სტატია, აქაურ სომხებს ერთი ყოფა და ამბავი გააქვთ: ყველა იმას კვეხულობს თუ ამა და ამ სტატიის ავტორი მე ვარო.

წარსულ კვირაში „თამამი და მაძღარი სიღნაღელის“ სტატიას კითხულობდა ერთი სომეხი, რომელშიაც ებაასებოდა უფ. ა. ბ—შვილს. მე ვკითხე თუ

მესმოდა იმის ლაპარაკი. თავადის ხმაც მომეჩვენა რამოდენიმეჯერ.

— აპალონ მარკოვიჩ! მომესმა გარკვევით. მოიქეცი კეთილ-ვონიერათ. ბავშორდეთ ერთმანეთს უსისხლოთ. ბაიგე, რომ მე არ შემიძლიან ცხოვრება, თუ მდიდარი არ ვიქენი. ჩვენი ბზა ყოველთვის სხვა-და-სხვა იყო და დასასრულამდინაც დარჩეს სხვა-და-სხვა!... მე ვერ მოვახერხე მომეწერა შენთვის ყველაფერი.. და რადგან ეხლა აქა ხარ და იცი ყოველივე....

აქ იმან მომკიდა ხელი.. ი ის ხელის შეხებამ მომიყვანა გონზე. დავაველ ხელი, და როგორც ექვსი წლის ბავშვი ავსწვიე ჰაერში. მე თავათვან არ ვიცი ეხლა—რას უპირობდი. [illegible] ერთი საშინლად იკივლა. შეცრათ [illegible] დიეაბზე და გამოვარდი ოთახიდან....

სიხლი ჩამომაწვა თვალებში, ყურები დამეუბა. წინა ოთახამდი ვერ მივაწიე, [illegible] [illegible] [illegible]

ვისი დაწერილი უნდა იყოს ეგ სტატია-მეთქი და მან მიპასუხა:

— გეთაყვა, შენ როგორც ძმა-კაცს გაგტეხივარ და სხვას კი არავის გაუჩალო; ეგ სტატია ჩემი დაწერილია!

მერე საჭირო საქმისათვის შევედი ერთი ნაცნობი ბაზაზის დუქანში, სადაც ამავე საგანზე ჰქონდათ მასლაათი. აქაც ვიკითხე თუ ვისი დაწერილია? ბაზაზმა თამამათ და გაბედულათ მაპასუხა:

— მე ვარ-და აი ამ სტატიის დამწერი; იგრე გაუხადო საქმე იმ ქ. მ—შვილს, რომ სუ მახოხი ვაკეთებინო!

ამ ლაპალაკში რომ ვართ, ერთმა სომხის პატარა ბიჭმა მოიტანა ფოშტიდამ ახალი ნომერი. სიღნაღელებმა სხვა ამბების წაკითხვას არ დასდიეს; მაშინვე იმას დაუწყეს ძებნა, არის რამე სიღნაღელებზე დაწერილი, თუ არაო, და კიდეც ნახეს, რომ დაბეჭდილი იყო საბაასოში „დიახ, მაძღარ სიღნაღელს." მაშინვე ჩაღეჭეს ბოლომდის ის სტატია. მაშინ უთხარი სიღნაღელებს თუ, აბა ეხლა აკეთებინეთ ქ. ბ—შვილს მახოხი თუ კაი კრიტიკოსები ბრძანდებით-თქო; მაგრამ იმათ თავიანთი ფახა-ფუხი და ბაქიაობა მაინც არ მოიშალეს.

— ნახავ რაღა, რა საქმესაც ჩვენ იმას დავმართებთ; იცი როგორ კრიტიკას დაუწერამ! თავში დავსწერ: „ოხერო რას მიჰქარავ-ეი, ლოლიკ-მოლიკა რას მიჰქვიან-თქო, და ბოლოს კიდევ სხვა იქნებაო! მიპასუხა ბაზაზმა.

მართალი მოგახსენოთ, ძლიერ უსაფუძლო საბუთები მოჰყავს უფ. „მაძღარ სიღნაღელს" (თავის სიღნაღელების გასამართლებლად); ამბობს: „ლეკების არეულობის დროს მთელი სიღნაღელები შეიარაღებულნი იყვნენო." მართალია, მეც იქ დავესწარ იმ დროს, როდესაც შეიარაღებული სიღნაღელები მთვარიან ენკენისთვის ღამეში შუაგულ მოედანზე „ჰარი-არალოს" მღეროდნენ; მაგრამ საწყალი ქიზიყელები კი ბრძოლის ველზე იყვნენ გაყვანილნი უპატრონო ფარასავით.

ნათქვამია: „თავის სახლში ძაღლსაც დიდი გული აქვსო!" საქმე ის არის, რომ ბრძოლის ველზე მიიმღეროდეთ „ჰარი-არალოს", თორემ სახლში ხომ ყოველთვის ქეიფში ხართ და სხვა ბაიათებსაც ღუღუნებთ!

სიღნაღი, 14 ოქტომბერს.

მ. ონელ-ღბელა.

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირს გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ზარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი — თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., ჰიუჩარიანცი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასტუროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი — ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფი., ჰიუჩარიანცი — ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი — თვალის ავათმყოფობის

განცხადებანი

ქუთაისში მიიღებენ ყმაწვილებს საშუალ სასწავლებლების მესამე კლასამდინ **მოსამზადებელად.**

მსურველს შეუძლიან იკითხოს „კოლხიდის" სასტუმროში მადამ **დიუპონი.**

ფოჩტის სახლის ქვეშ გაღებულია **სარძეო სარდაფი,** რომელშიაც მსურველს შეუძლიან იყიდოს: რძე, ერბო, მაწონი და სხვა ყველაფერი, რაც რძისაგან ნაწარმოებია.

ბანოვის ქუჩაზე, იაგორ მირზოევის სახლებში გავაღე **ახალი მოდის მაღაზია.** ვკერავ ქალის კაბებს, ტალმებს და შუბკებს, აგრეთვე ახალი მოდის დასახურავებსა და ჩასაცმელებს და საზოგადოთ ქალის ყოველ გვარ ტანისამოსს **ხელ-ფასს ვიღებ სინიდისიანათ.**

გაბრიელ თორომანოვი

გამოვიდა ამ დღეებში

წესდება

სასჯელთაზედა რომელთაცა გადასწყვეტენ მომრიგებელნი მსაჯულნი.

კასსაციონი განაჩენებითა და

„თამბაქოის წესდება"

ისყიდება თფილისში, ტერ-ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ტერ-ზრიქუროვის აგენტთან და სიღნაღში უ. ნ. ზამრეკელთან.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა	მან.	კაპ.
პეტერბურგი, 19 ღვინობ.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიჟში 250 სანტიმი.	—	81
ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	94	50
მოგებიანი (პირველისესხი)	207	25
მოგებიანი (მეორე სესხი)	202	50
გირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის (5½	85	25
მოსკოვის (5%). . .	85	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
კავკაზის და მერკური	225	—
პირვ. საზღვევ. საზ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა	მან.	კაპ.
თფილისი, 20 ღვინობ.		
ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ.	1	90
ფქვილი წითელი. . .	1	45
ქერი ფუთი. . . .	1	25
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	20
— ამერიკისა, ფუთი. .	8	50
გაპენტილი ბამბა ფთ.	9	50
მატყლი თუშური ფთ .	7	—
— თარაქამისა ფთ. .	3	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქონი, ფუთი. . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	54
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
— ცხვრისა, ლიტრა .	—	63
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	20
— ფხვნილი ფუთი . .	7	20
ყავა გრგვალი, ფუთი .	26	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	8	28

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Октября 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.